



საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა  
მ ი ნ ი ს ტ რ ი

\*100110376431313\*

KA100110376431313

თბილისი

27 / სექტემბერი / 2013 წ.

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 01/699**

**მოსაკრებლის გარეშე გამოსათხოვი საჯარო ინფორმაციის მინიმალური  
ოდენობის განსაზღვრისა და საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების  
მოსაკრებლის გადახდის წესის შესახებ**

„საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის თანახმად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) მიერ წლის განმავლობაში საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის გარეშე გასაცემი საჯარო ინფორმაციის მინიმალური ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) A4 და A5 ფორმატის ქაღალდის ქსეროასლი – 200 ფურცლამდე;

ბ) ლაზერულ პრინტერზე ამობეჭდილი ასლი – 400 ფურცლამდე.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული ოდენობის ფარგლებში, სამინისტროში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს (წ. უდესიანი, მისი არყოფნის შემთხვევაში (მივლინება, შვებულება) შესაბამისი ბრძანებით მის შემცვლელი) მიეცეს უფლებამოსილება საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის გარეშე ერთჯერადად გასაცემი საჯარო ინფორმაციის ოდენობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე, საკუთარი ინიციატივით ან ფიზიკური პირის შუამდგომლობის საფუძველზე, პირის სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით.


3. სამინისტროს მიერ გასაცემი საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნეს სახელმწიფო ბიუჯეტში სახაზინო კოდეზე 302003173.

4. ამ ბრძანების მე-3 პუნქტის მიხედვით, საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის ასლი დაინტერესებულ პირზე გაიცეს აღნიშნული პირის მიერ საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ (შესაბამის წერილზე თანდართვით).

5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მოსაკრებლის გარეშე გამოსათხოვი საჯარო ინფორმაციის მინიმალური ოდენობის განსაზღვრისა და საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის წესის შესახებ“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 იანვრის N01/44 ბრძანება.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

A handwritten signature in blue ink, consisting of a stylized initial 'T' followed by a diagonal slash and the number '3', and another stylized initial 'S'.

თამაზ თევზაძე